ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №65136

ნომერი: AR126714

თარიღი : 29.02.2012

გაცემის თარიღი : 01.03.2012

გაცნობის თარიღი : 01.03.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქსანი , N 52 , (ნაკვ.39/028) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეონა გოგოლაძე პ/ნ 01021009499
- გ.კარტოზიას ქ 10

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

გაცნობებთ, რომ მითითებულ საპროექტო ტერიტორიაზე კომერციული დანიშნულების ობიექტის განთავსებაზე მოქ: გელა თეთრაძის 2012 წლის 6 თებერვლის #AR119064 განაცხადის საფუძველზე სამსახურში უკვე ერთხელ განხილულ იქნა აღნიშნული საკითხი. განმეორებით გაცნობებთ, რომ ქალაქთმშენებლობითი თვალსაზრისთ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია თქვენს მიერ შერჩეული ობიექტის განთავსება, იმ პირობით, თუ საპროექტო შენობა–ნაგებობა უზრუნველყოფილი იქნება აუცილებელი რაოდენობის ავტოსადგომებით და დროებითი გასაჩერებელი ჯიბით. ყოველ 45მ^2 სასარგებლო ფართზე გათვალისწინებული უნდა იყოს მინიმუმ 1 ავტოსადგომი. შესაბამისად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებისთვის სამსახურში უნდა წარმოადგინოთ წინასწარი ესკიზური პროექტი საპროექტო მოცულების, პარკირების სქემის და დროებითი გასაჩერებელი ჯიბის ჩვენებით.
ქალაქთმშენებლობითი პირობების დასადგენად გათვალისწინებული ვადა განისაზღვრება 15 სამუშაო დღით. თქვენი განხცადება სამსახურში შემოვიდა 2012 წლის 29 თებერვალს თანდართული დოკუმენტაციის განხილვაზე სამსახურმა გამოიყენა 2 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განცხადების ჩაბარებიდან 15 დღიანი ვადა მითითებული დოკუმენტის წარმოსადგენად, რომლის შემდეგ ქალაქთმშენებლობითი პირობების დასადგენად სამსახურს დარჩენილი აქვს 13 სამუშაო დღე; თუ არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტი, საკითხი დარჩეს განუხილველი.
ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.
მოთხოვნილი დოკუმენტი უნდა ატვირთოთ განაცხადის ცარიელ ველში ან დამატებითი დოკუმენტაციის ველში ელექტრონულად, საიტზე: tas.ge კონსულტაციის მისაღებად მობრძანდით ქ. თბილისის მერიაში (მის: თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა #7 II სართ მე-7 ოთახი)

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.